

Soviet Trauma and the Discourse Analysis of Narratives in Oral History

საბჭოთა წარსულისადმი „კეთილგანწყობა“ –
ფარული და ღია ტრავმები
(ერთი ზეპირი ისტორიის მიხედვით)

Marine Turashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli institute of Georgian Literature
(Georgia)

მარინე ტურაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
(საქართველო)

Abstract:

February 25, 1921 was a tragic day for Georgia – since then for the next 70 years our country has been under the influence of a totalitarian communist regime. Unfortunately, many events of the Soviet period that in various scales are traumatic in the history of our country, have not yet been properly studied or evaluated, especially from the memory perspective. This is highlighted by the fact that even in history textbooks or among scientists, the traumatic perception of this or that Soviet event has not been completely analyzed in order to assess the regime accurately. All above mentioned facts, in their turn, lead to heterogeneous attitudes on the part of the society towards the seventy-year history of the last century.

The "favour" for the Soviet past is especially felt in the villages of Georgia, in spite of the traumatic events of the Soviet Union that took place there in full force (genocide, collectivization, the terror of 1937-38, World War II, deportations, etc.). We think this is due to the fact that in villages the elderly rarely discuss or re-evaluate the Soviet past, while the young generation is unaware of the whispered stories of that time, as well as the experiences hidden because of fear or shame caused by memory politics.

Studying the totalitarian communist regime stories embedded in individual memory from a modern perspective view is important for understanding the traumatic perception of the Soviet past. Our research is based on the oral histories recorded over the last two decades. Discourse analysis of oral histories reveals that trauma plays an important role. They serve as a dividing line, according to which the narratives are divided into three significantly different periods: "this", "before" and "after".

Keywords: Soviet Trauma, Discourse Analysis, Oral History

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა ტრავმა, დისკურსული ანალიზი, ზეპირი ისტორია

საბჭოთა წარსულისადმი „კეთილგანწყობა“ განსაკუთრებით თვალშისაცემია საქართველოს სოფლებში, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმული მოვლენები (გაკულაკება, კოლექტივიზაცია, 1937-38 წლების ტერორი, მეორე მსოფლიო ომი, დეპორტაციები და ა.შ.) მთელი სიმძაფრით სწორედ იქ მიმდინარეობდა. ვფიქრობთ, ასაკოვან ადამიანებში ეს განაპირობა იმან, რომ სოფლად ნაკლებად მსჯელობენ საბჭოთა წარსულის გადაფასებაზე, ხოლო ახალგაზრდა თაობისთვის უცნობია თავის დროზე ჩურჩულით გავრცელებული ამბები, ანდა მეხსიერების პოლიტიკით გამოწვეული შიშისა თუ სირცხვილის გამო მიჩქმალული გამოცდილებები.

ინდივიდუალურ მეხსიერებაში დალექილი ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის ამსახველი ამბების თანამედროვე პერსპექტივიდან შესწავლა მნიშვნელოვანია საბჭოთა წარსულის ტრავმული აღქმის გასააზრებლად, რადგან ზეპირ ისტორიებში გამოიყოფა ამბავი, ან ამბები ადამიანის განვლილ ცხოვრებაზე. რა თქმა უნდა, ეს ამბები მთხრობელის ცხოვრების ზუსტი, ზედმიწევნითი „ანგარიში“ კი არ არის, არამედ მისი მეხსიერებისა და წარმოსახვის გამხატვრებული პროდუქტია, რადგან მთხრობელი მონათხრობად აქცევს თავის ცხოვრებას, უფრო მეტიც, ხშირად ხელახლა თხზავს მას.

ზეპირი ისტორიების თხრობის დისკურსული ანალიზი ცხადყოფს, რომ თავსებადხდენილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოვლენების კონტექსტში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტრავმები. ისინი მოქმედებს როგორც გამყოფი ხაზი, რომლის მიხედვითაც მონათხრობები სამ მნიშვნელოვნად განსხვავებულ პერიოდად იყოფა: „ის“, „მანამდე“ და „მას შემდეგ“ (ტურაშვილი, 2010, გვ. 14). კვლევისას გამოიკვეთა ისიც, რომ, ერთი მხრივ, რეპრესიების წნეხი და, მეორე მხრივ, პროპაგანდა იმდენად ძლიერი იყო, რომ მთხრობელები ამ ყველაფერს გარდაუვალ აუცილებლობად აღიქვამენ და ხშირად ტრავმა არაპირდაპირ ვლინდება ზეპირ ისტორიაში, მთხრობელის მეხსიერებაში.

სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ციალა მოლაშვილის (86 წლის, პენსიონერი, მცხოვრები ყვარლის რაიონ სოფ. შილდაში) ზეპირ ისტორიებს, რომლებიც ჩაწერილია ორჯერ: 2009 წლის 17 მარტსა და 2016 წლის 5 ივნისს. პირველი ინტერვიუ შედარებით მცირეა, 38 წუთამდე, ხოლო მეორე – საკმაოდ ვრცელი, 85 წთ, რაც, ვფიქრობთ, იმით აიხსნება, რომ რესპოდენტი ასაკშია, უმუშევარია და მას კარგი მსმენელი სჭირდება, რათა თავის სუბიექტურ და კულტურულ შემეცნებაში განიხილოს განცდილი, გადატანილი გამოცდილება და შეხედულებები. ჩვენთვის, მკვლევარებისთვის, საინტერესოა სწორედ თხრობის ტექნიკა და რამდენად მნიშვნელოვნად შეესაბამება ერთმანეთს მთხრობელის თვითრეფლექსია და თვითთემატიზაცია. ზოგადი დაკვირვების თანახმად კი რეფლექსიის საორიენტაციო ნიმუშები, როგორც წესი, ემთხვევა თხრობის კულტურულად და ინდივიდუალურად ჩამოყალიბებულ ფორმებს.

ციალა მოლაშვილის ზეპირი ისტორიები სტრუქტურული თვალსაზრისით შეგვიძლია ორ ნაწილად გავყოთ: 1. გაუწყვეტელი თხრობა და 2. კითხვებით ჩაღრმავებული ამბები. ამგვარმა მიდგომამ ძალიან საინტერესო სურათი წარმოგვიდგინა – არის ისეთი თემები და პერსონალები, რომლებზეც პირველად ვერსიაში ან საერთოდ არ ამახვილებს მთხრობელი ყურადღებას, ან კიდევ ძალიან ლაკონიურად ლაპარაკობს მათზე. პირველად, გაუწყვეტელ ზეპირ ისტორიაში ასეთი ეპიზოდებია: დაბადება, გაკულაკება, ბავშვობა, მამის გარდაცვალება, სკოლა, ბებიის ციმბირში ჩასვლა, ამანათები, რეაბილიტაცია, დაბრუნება, ფულის შეცვლა, სასამართლოთი წართმეულის დაბრუნება, დაოჯახება, პროფესიული გამოცდილება და ა.შ. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

რესპონდენტი გვიყვება:

„მე ვარ მოლაშვილი ციალა, დაბადებული ყვარელში, 1930 წელს, 4 მარტს. 1933-ში როგორც კულაკი ისე, მამაჩემი და ბიძაჩემი – ორივენი, ძმები, გადაასახლეს. მე ეს არ მახსოვს, გადმოცემით ვიცი, რო გადაგვასახლეს. მე ვიყავი ორწლინახევრისა მაშინ. ოცდაცამეტში გადაგვასახლეს შორს – სევერნი კაზახისტან, აკმოისკაია ობლასტ, შორტანდისკი რაიონ, პასოლ ტრიცეტ შესტ.

რადგან სუ აქაურები ვიყავით, საქართველოდან, იქიდან – ერევნიდან სომხები, რუსები, დუხაბორები, უზბეკები... დაგვყარეს ე.ი. ტრიალ მინდორზე, ცილინაგრადში“ (ქალი საბჭოთა სოფელში, 2017, გვ. 229).

მთხრობელი გვიყვება, თუ რა მძიმე მდგომარეობაში მოუწიათ ზამთრამდე დარჩენილ ძალიან მცირე დროში საცხოვრებელი თავშესაფრების აშენება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ, მიუხედავად გაუსაძლისი სიცივისა და გაჭირვებისგან თავისი მამის, ახალდაბადებული დედამამიშვილებისა და სხვების გარდაცვალებისა, ბავშვობის მოგონებებს ის ძალიან კარგად იხსენებს. შემდეგ რესპონდენტი ძალიან მოკლედ ყვება სკოლაში შესვლისა და ენის უცოდინრობით გამოწვეულ ამბავს და იქვე აღნიშნავს, როგორ ეხვეწებოდნენ საქართველოში დარჩენილი ნათესავები ქართულის არდავიწყებას.

ციალა მოლაშვილი განსაკუთრებულად აღნიშნავს ბებულის ციმბირში ორჯერ ჩასვლას: მამის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ. ამის გამო ის სტალინთანაც კი შესულა თხოვნით.

გადასახლებაში ცხოვრებისას მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოდან ამანათების მიღებაც, რადგან ნათესავები უგზავნიდნენ ხილს, ჩურჩხელებს, ტანსაცმელსა და სხვ. ამანათით გაუგზავნა მამი-დამ ასევე „დედაენა“, რომ ქართული წერა-კითხვა ესწავლა.

რესპონდენტი მამისა და ბიძის ცოლის დაღუპვას პირველად მონათხრობში მოკლედ ახსენებს და ვრცლად ყვება, თუ როგორი კარგი ბავშვობა გაატარა გადასახლებაში:

„მამიჩემი ოცდაჩვიდმეტ წელს დაიღუპა. საშინელი ზამთარი იყო. ორმოცი, ორმოცდაათი გრადუსი სიცივე. ჩიტები მაღლა იყინებოდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც გვიხაროდა. ორსართულიანი თოვლი იცოდა. ციგებზე დავსხდებოდით ჩვენ კიდე, ბაღლები

და იმ მეორე სართულიდან მოვდიოდით ცურაობით. მერე ლიჟე-ბიც მქონდა. ვიყიდე მეც ლიჟები. ეს პერიოდი ნამდვილათ კარგად მახსოვს. ცუდი არაფერი არ მახსოვს და არ ვიცი. რასაც ვყვები, სუ კარგსა ვყვები. აი, რო იტყვიან, კინალამ, კინალამ მივტიროდი რო მოვდიოდი იმიტო, რო არ ვიცოდი, სად მოვდიოდი. ერთიმეორეს რო ვემშვიდობებოდით გოგო-ბიჭები, სუ ვტიროდით, რო აღარ შევხვდებოდით“ (ქალი საბჭოთა სოფელში, 2017, გვ. 230).

ამ ყველაფრის შემდეგ რესპონდენტი აკეთებს კომენტარს, რომელშიც ნათლად ჩანს ის ფარული ტკივილი, რაზეც ხმამაღლა არ ლაპარაკობს: „რის გულისთვის ვიყავით გადასახლებულები?! არავისთვის არ მოგვიპარავს“ (ქალი საბჭოთა სოფელში, 2017, გვ. 231).

ციალა მოლაშვილი მოკლედ ყვება რეაბილიტაციის ბრძანებასა და გათავისუფლებაზე. ის ყურადღებას არ ამახვილებს იმაზე, თუ როგორ დაბრუნდა დედასთან ერთად საქართველოში. მოგვითხრობს მხოლოდ იმას, რომ ყიდიან ყველაფერს, მაგრამ 48 წელში ფულის შეცვლამ მოუსწოროთ. რესპონდენტი ასევე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მის სამსართულიან სახლს ყვარელში სახელმწიფო იყენებდა. იქ ხან ინსპექტორი, ხან ინსტრუქტორი, ხან გამგებელი და ხან რაიკომის მდივანი ცხოვრობდა და სწორედ აქ ჩნდება კიდევ ერთი ფარული ტრავმის გამომხატველი ფრაზა: „ცხვარს რო ვუყურებ, რო აივლის ხოლმე, ვეუბნები: – ჩემო დამღუპელებო-მეთქი!“

რეაბილიტაციის კანონის გამოსვლის შემდეგ ციალა მოლაშვილი იწყებს კანონის ძალით 1933 წელს ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას, რისთვისაც ეროვნულ არქივში მოიძიებს დოკუმენტაციას მათი ქონების შესახებ და სასამართლოთი იბრუნებს სახლს, მაგრამ უკვე საკმაოდ დაზიანებულს. შემდეგ კი რესპონდენტი უკვე სამსახურებისა და დაოჯახების ამბებს ყვება.

აი, ეს არის სწორედ ის თემები, რომლებსაც რესპონდენტი მოგვითხრობს გაუწვეტელ ზეპირ ისტორიაში. რაც შეეხება ჩალმავებულ ინტერვიუს, აქ იკვეთება სწორედ ის ფარული ტრავმები, რომლებზეც რესპონდენტი მანამდე არ ან გაუცნობიერებლად აღნიშნავს. მაგალითად:

„გაკულაკება იყო. ბევრი ცხვარი გვყვავდა, ყველაფერი, მიწები. მარტო ჩვენ კი არა, ბევრნი იყვნენ, მაგრამ მაინცადამაინც ჩვენ – მამაჩემი და ბიძაჩემი ამარჩიეს. ხოლოთ, იქ რო გადაგვასახლეს, თურმე მამაჩემი მალე დაიღუპა. მე ის არ მახსოვს. მერე ვიცი, რო იქაც ძალიან დიდი საქონელი, მეცხვარეობა იყო. რაკი იცოდნენ, რის გულისთვის გადაგვასახლეს, ბიძაჩემს უთხრეს, რო:

– ცხვარი უნდა ჩაგაბაროთ!

[ბიძაჩემი] დათანხმდა, მამაჩემმა კი უთხრა:

– მე ცხვარმა დამღუპა და აღარ მინდა ცხვარიო!

და წავიდა შავ მუშად ქვანახშირის საბადოში. იქ ვერ აიტანა, მთელი დღე მიწაში და წყალში იდგნენ და გაცივდა, ფილტვების ანთება დეემართა... საშინელება ყოფილა იმ ქვანახშირში მუშაობა, წყალში დგებარ სუ და აი, გაცივდა მამა და დეემართა ფილტვების ანთება. ჩვენ სოფელში არც ექიმი იყო, არც არაფერი. რაიონი იყო ნოოკუბანკა, რაიონი, ტრიციტ ჩიტირი. წაიყვანა ბიძაჩემმა, იქ დააწვინა სავანტყოფოში, მაგრამ ფილტვები სუ მთელი გაუბედურებული ქონდა სიცვისსაგან და ნესტისაგან“ (ქალი საბჭოთა სოფელში, 2017, გვ. 232).

მთხრობელის ცხოვრებაში ასევე მნიშვნელოვანი იყო ვერა ბებო (მამის დედა), რომელიც არ შეუშინდა იმ ფაქტს, რომ არ იცოდა რუსული, დაიქირავა ვინმე ენისლელი კაცი და მასთან ერთად ჩავიდა კრემლში, შეხვდა სტალინს, მოუყვა თავისი ისტორია და ასე მოიპოვა შვილებისა და შვილიშვილების ნახვის უფლება. მეორეჯერ კი ის უკვე მარტო ჩადის მათთან, რადგან გზა-კვალი უკვე კარგად იცოდა: „ძალიან დაბალი იყო ბებია, ხოლოთ ძალიან ყოჩაღი. ოთხმოცდარამდენი წლისა გადაიარა და გაზეთი არ დაუდვია ხელიდან, არც სათვალეები. გარეთა ქვაზე იცოდა ხოლმე დაჯდომა. ერთხელაც ქვაზე იჯდა, მერე სახში შემოვიდა, კუშეტკაზე დაჯდა, გადაბრუნდა და მორჩა, მოკვდა, ჰო!..“ (ქალი საბჭოთა სოფელში, 2017, გვ. 229-230).

რაც შეეხება ბიძის ამბავს, მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მონათხრობში მშობლების, ბებიისა და მამიდის ამბებთან ერთად. რესპონდენტი აღნიშნავს: „ბიძაჩემმა ცხვარში რო წავიდა, მააშენა კაცო, მააშენა, სუ ტყუპ-ტყუპს აჩენდნენ. ისე რო, იქ სურათი გადაულეს და აქ სტალინს გამოუგზავნეს, ქუდიო, ჯოხითი. რო ჩამოიდა ბიძაჩემი, აქაც ისევ ცხვარში წავიდა (რესპონდენტი იცინის, – მ. ტ.)“ (ქალი საბჭოთა

სოფელში, 2017, გვ. 232) და ციალა მოლაშვილი მოგვიანები ყვება, ვიდრე კუთვნილს დაიბრუნებდნენ, როგორ იყიდა ბიძამ თავისივე წართმეულ სახლში დამატებით ერთი ოთახი. ცხადია, ესეც განცდილის, გადატანილის ფარული ტრავმის გამომხატველია.

მთხრობელის ცხოვრებაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მამიდას. უწყვეტ ზეპირ ისტორიაში ციალა მოლაშვილი ყვება მის მიერ გაგზავნილ „დედნაენაზე“, კითხვებით ჩაღრმავებულში კი იხსენებს, როგორ სთხოვდა მამიდა ხელის მტევნის ანაბეჭდის გაგზავნას, რათა მისი გაზრდისთვის თვალი ედევნებინა. დაბრუნებული კი წლების შემდეგ აღმოაჩენს მამიდის მიერ საგულდაგულოდ შენახულ მისი ხელის ანაბეჭდებს.

ციალა მოლაშვილი მშობლებზე ბევრს არაფერს ყვება. თავდაპირველად ის მხოლოდ მამის გარდაცვალებას ახსენებს ორჯერ, ხოლო მოგვიანებით, ჩაკითხვის შემდეგ, იხსენებს მშობლების დაოჯახების ამბავს, როგორი წვალებით შეიძინა დედამ ჭალი, ავეჯი, ფარები, ხალიჩები... – ყველაფერი, რაც ოჯახისთვის იყო საჭირო. ისეთი ჭალი ჰქონიათ, რომ მის სანახავად ხალხი დადიოდა. რა გასაკვირია, რომ დაბრუნებული დედა საშინელ ტკივილს განიცდიდა, როდესაც უყურებდა სხვადასხვა ადგილზე გაფანტულ-მითვისებულ, დიდი წვალეების ფასად შეძენილ ქონებას: „ის „შიფანერკა“, ის ყველაფერი ერთნაირათ ჩამოიტანა დედამ თბილისიდან. მარტო სახლის დარდი ქონდა, სხვა არაფერისა, სახლს ძალიან მისტიროდა. მაგრამ რა უყოთ, აბა?! რაკი მაინც მე რო დამიბრუნეს...“ (ქალი საბჭოთა სოფელში, 2017, გვ. 234).

მონათხრობების შესწავლით დგინდება, რომ რესპონდენტის ცხოვრება რადიკალურად იცვლება გათავისუფლების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ კანონი საერთო იყო, გადასახლებულებს მაინც ნაწილ-ნაწილ აბრუნებდნენ:

„განა ერთნაირათ გვანთავისფლებდნენ?! არა. ჩემი ძალო უკვე დაღუპული იყო იქ და მერე ბრძანება რო გამოიდა, მოდიოდა, რო:

– მოლაშვილი პავლე, თავისუფალი ხარ!

...

გავიდა რამდენიმე ხანი, ენისლელები იყვნენ, ისინი გათავისუფლდნენ. ბრძანება, ალბათ, ერთნაირათ იყო, მაგრამ ესე ცალ-ცალკე მოდიოდა“ (ქალი საბჭოთა სოფელში, 2017, გვ. 234-235).

ციალა მოლაშვილის მონათხრობში გზასთან რამდენიმე ეპიზოდი დაკავშირებული. თავდაპირველად ის ყვება, როგორ მოამზადეს საგზალი:

„ერთი „მეშოკი“ პური გავახმეთ, დაკლულები იხვეები და ბატები და სუმთელი თბილისამდე ჩამოვიტანეთ. გზაში კიდე ადამიანი რამდენს შეჭამ?! მე მაშინ ხუთმეტი წლისა ვიქნებოდი, მეხუთმეტეში... დღე იყო უკვე, მგონი და 11 საათზე უნდა წამოსულიყო თბილისი-ბაქოს მატარებელი. ბარგი ბევრი გვქონდა, ლოგინიცა გვქონდა. ის ლოგინიც შევკარით და მე გიტარა ლოგინში ჩავაყოლე. ეხლა მე და დედაჩემი ესე სადგურში რო ვსხედვართ, ეს ჩვენი ბარგი გარეშამოა დაწყობილი და ახლა 11 საათზე უნდა გამოსულიყო თბილისი-ბაქო. წამოსვლისას ერთ ჩემოდანში ჩავალაგეთ კარგი ტანსაცმელი, იქიდან წამოვედით „კალოშებით“. ზამთარი დიდია, კალოშები მეცო მეც, ნაბდისაგან მოთელილი როა, მაღალყელიანი, დედაჩემსაც. ვთქვით, რო: – თბილისში რო მივალთ, შევცვლითო. ბარგი რო ავიღეთ, მეც ორი უნდა მეჭიროს და დედაჩემსაც – ორი. მივიხედეთ-მოვიხედეთ, ის პატარა ჩემოდანი აღარ არის, აგვაცურეს, ვთქვით: – ვაიმე! რა გვეშველება?! როგორც ვიყავით კალოშებით, იმით ჩამოვედით თბილისში“ (ქალი საბჭოთა სოფელში, 2017, გვ. 234).

გზის მეორე ეპიზოდს უკვე იწყებს ფრაზით: „საშინლად მახსენდება საქართველოში გამომგზავრება“ (ქალი საბჭოთა სოფელში, 2017, გვ. 238). – ცხადია, აქ უკვე აშკარა ტრავმასთან გვქვს საქმე, რადგან დაწვრილებით იხსენებს, ერთი მხრივ, გავრცელებული ტიფის გამო გართულებულ მგზავრობასა და, მეორე მხრივ, მათთან ერთად მყოფი ალვანელი კაცის შეგინების გამო ტრიალ მინდორში ბარგით მატარებლიდან ჩამოყრის ამბავს:

„სად ვიყავით, ჯერ არ ვიცოდით. წავიდა ეს ქალი, „პრავადნიკები“ ქალები არიან ხშირად, ეს ქალი კიბეებზე იყო, შედგა ეს ქალი და წავიდა. დავრჩით ჩვენ აკიდებული „მეშოკებით“ სუყველანი და მივდივართ ამ თოვლში. მივდიდვართ და სად მივდივართ, არ ვიცით. მარტო ტრიალი მინდორია, თოვლ-ჭყოპით. მივდივართ, მივდივართ, მივდივართ და სადღაც გამოჩნდა ერთი სინათლის წინწკალი, მივდევთ მაინც ამ სინათლეს, მივდევთ და მივაგენით ერთ პატარა სადგურივით როა, სადაც არა ჩერდება მატარებელი, პლატფორმას მივადექით“ (ქალი საბჭოთა სოფელში, 2017, გვ. 238).

ყარაულის თანხმობით ღამეს იქ ათევენ, თუ ამას გათევა ჰქვია: „ვაიმე! დავწექით სუყველანი აეგრე დაბლა. კიდე კაი გათბობა იყო, დაბლა სუყველა ერთნაირათ დავიძინებთ?! ხუთ წუთში მოდის ის მატარებლები, დააყვირებებს, აეგრე თაველბდაჭყეტილები ვართ. დააყვირებებს, დაჭყეტილები გვაქ თვალები. როგორც იყო გათენდა“ (ქალი საბჭოთა სოფელში, 2017, გვ. 238-239). დილით ყარაული ულოცავს მათ, რომ მგლების შეჭმას გადაურჩნენ და ურჩევს, რომ უკან დაბრუნდნენ ისევ იმ სადგურში, საიდანაც წამომოვიდნენ.

თბილისში ჩამოსულები რამდენიმე დღე დეიდის სახლში ათევენ, შემდეგ მატარებლით ჩადიან თელავში, ენისლამდე მგზავრობენ მანქანით და იქიდან ნათესავის ურმით მიდიან პაპასთან, დედის მამასთან შილდაში:

„შილდაში რო შემოველით, მაშინ სხვა გზა იყო, ეხლა სხვა გზა გააკეთეს, მოვდივართ ტაჭკით. როგორც კი სოფელს რო მოუახლოვდით, ამ კაცსაც გაუხარდა... უიმე! ესეც მახსოვს, როგორც შემოველით შილდაში, სოფელი რო დაიწყო, ეს კაცი ყვირის:

„– მარუსა მოდის გადასახლებიდან!“

ხალხი იქიდან-აქედან მორბიან, ვეძიხვეს ეძახიან, სადაც პაპაჩემი ცხოვრობდა, კაი მანძილია, სანამ იქამდე მოედით, ხალხი აქედან-იქიდან მორბოდნენ, რო მოვედით, ეზოში რო შევედით და ჩამოვედით, ვაიმე! ტევა აღარ იყო, ხალხი მოდიოდა სანახავად, ზოგი ტიროდა, მე კიდე იცით რამტოლა ვიყავი?! ვაიმე! ოთხმოცდაათი კილო ვიყავი, გასუქებული, ვარდისფერი კაბა მეცვა...“ (ქალი საბჭოთა სოფელში, 2017, გვ. 237-238).

რა თქმა უნდა, ტრავმაა ის ფაქტი, რომ რესპოდენტი ყველა ნათესავს ცნობს დედის წყალობით, რადგან ის მათ შესახებ ყოველთვის ბევრს ელაპარაკებოდა და თითოეული მათგანი ამდენწლიანი უნახავობის შემდეგ მხოლოდ დედის გადმოცემით ამოიცნო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დაბრუნების შემდეგ განათლების მიღება, რადგან ეს მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რომლებიც სწორედ გადასახლებით იყო გამოწვეული. თავდაპირველად მას ქართულად წერა-კითხვას სპეციალური მეთოდით მამიდაშვილი ასწავლის, შემდეგ კი ახლობლების თხოვნით სწავლას ღამის სკოლაში აგრძელებს.

მოლაშვილის ზეპირ ისტორიაში ძალიან საინტერესოა სხვათა ისტორიებიც. ის იხსენებს სხვა გადასახლებულების მძიმე მდგომარეობას, გაჭირვების, სიცივისა და უჭმელობის გამო ახალგაზრდების ტუბერკოლიოზით დაავადებას, გაჭირვებით დახოცილი ბერიაშვილებისა და თიანეთელების ამბავს. ასევე, შილდიდან გადასახლებული ღელე-ღუტაშვილების ოჯახის ისტორიას, რომელთაც უფროსი ბიჭი დატოვეს და ქალიშვილი გადასახლებაში შეეძენათ. მათ გემით დაჩქარებულად მოუწიათ წამოსვლა, რადგან საქართველოდან შეატყობინეს, რომ აქ დატოვებული ბიჭი მომაკვდავი იყო და როგორმე ცოცხლისთვის ჩამოესწროთ. როდესაც ისინი ჩამოსულან, უკვე მომაკვდავი შვილისთვის მამას უთხოვია ფეხზე წამოდგომა და დატოლება, რომ საკუთარი შვილი უკეთ შეეგრძნო.

განხილული მასალა ცხადყოფს, რომ ასეთი ფრაზების: „მე არაფერი არ მახსოვს აფსოლიტურათ, არ ვიცი. მე ჩემი თავი როგორც იქ დაბადებულს, გაზრდილს, ეგრე ვიცოდი და სკოლის ამხანაგებიც, რამე. არა მრცხვენია, შემიძლია ვთქვა, რო ყველაფერი კარგი მახსოვს, იქ გატარებული.“ – მიღმაც კი ადვილად იკითხება ის დაფარული ტრავმა, რაც მთხრობელს გადასახლებამ მიაყენა. რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ გამყოფ ხაზს, რომლის მიხედვითაც მონათხრობები სამ მნიშვნელოვნად განსხვავებულ პერიოდად იყოფა: „ის“, „მანამდე“ და „მას შემდეგ“, გაანალიზებულ ზეპირ ისტორიაში „ის“ არის დაბრუნება, „მანამდე“ – გადასახლებაში გატარებული დრო და „მას შემდეგ“ – საქართველოში ცხოვრების პერიოდი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ტურაშვილი, მ. (2010). *თანამედროვე ქართული ნარატიული ფოლკლორი (ზეპირი ისტორიების მიხედვით)* თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ქალი საბჭოთა სოფელში (2017). *ქალი საბჭოთა სოფელში, ზეპირი ისტორიები* თბილისი: სერია „ქალთა მეხსიერება“, „ფონდი ტასო“, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო.

საარქივო მასალები:

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი: ფა1კ1ემ006.

References:

- Kali sabch'ota sopelshi (2017). Kali sabch'ota sopelshi, zep'iri ist'oriebi. [*Women in the Soviet Village*]. Tbilisi: seria „kalta mekhsiereba“, „pondi t'aso“, hainrih biolis pondis samkhret k'avk'asiis regionuli biuro.
- Turashvili, M. (2010). Tanamedrove kartuli narat'iuli polk'lori (zep'iri ist'oriebis mikhedvit). [*Modern Georgian Narrative Folklore (According to the Oral History)*]. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba.

Archival materials:

- Shota rustavelis sakhelobis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'is polk'loris arkivi: palk'lem006. [Folklore archive of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature: FA1K1EM006].